პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 დეკემბერი პარასკევი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი პამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 302 (16123)

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი. 1974 წლის 26 დეკემბერი. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის სხდომა.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

26 დეკემბრის დილის სხდომა

ჩვენი დიადი სამშობლოს კომუნისტური მომავლის გზაზე ახალი ნიშანსვეტი გახდა 1974 წელი, მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი. მკაფიო ფურცლად შევა იგი საბჭოთა ხალხის გმირული შრომის მატიანეში.

ქვეყნის მშრომელები, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, მზად არიან გადაწყვიტონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დასახული ამოცანები, რომელმაც მიიღო კანონები ქვეყნის 1975 წლის, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ.

საქართველოს მშრომელები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ქვეყნის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანები აღფრთოვანებენ მათ ახალი მიღწევებისათვის ნათელი მომავლის საკეთილდღეოდ.

26 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შრომითი ენთუზიაზმისა და ჩვენი სამშობლოს წარმატებებისათვის სიამაყის ვითარებაში შეეკრიბნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია იწყება მუშაობას.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ბ. ნ. გრიგალაშვილი, შ. მ. შაკაია, ლ. ა. ხოზრევანიძე, ა. კ. ხუციშვილი.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, ზ. ა. პატარიძე, ზ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ხ. ძოწენიძე, გ. დ. ჯაფარიშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ფ. კ. შარბავა, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. დ. მაღალაშვილის მოხსენება სამანდატო კომისიის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებულებათა შემოწმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: „ცნოს 1974 წლის 16 ივნისს ხაშურის რაიონის ქვეშეთის № 105 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ბეგლარ დიმიტრისძე მაბარაშვილის, 1974 წლის 16 ივნისს ქალაქ ჭიათურის ზოდის № 218 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნოდარ გრიგოლის-ძე ვაშაძის. 1974 წლის 16 ივნისს გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319 საარჩევნო ოლქში არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვლადიმერ ივანეს-ძე გვარჯალაძის რწმუნებულებანი“.

მტკიცდება სესიის მუშაობის დღის წესრიგი. დღის წესრიგში შეიქვთ შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

მტკიცდება სესიის მუშაობის რეგლამენტი.

დეპუტატები იწყებენ დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა შ. ა. ანანიაშვილმა.

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატი ბ. ნ. გრიგალაშვილი.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების თანამოხსენება, რომელიც გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ა. პატარიძემ.

მოხსენებისა და თანამოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატი ბ. ი. ვაშაკიძე (ქალაქ ქუთაისის ორჯონიკიძის № 228 საარჩევნო ოლქი), დეპუტატი გ. ლ. ბეჟანია, (ქალაქ ტყვარჩელის აკარმარის № 335 საარჩევნო ოლქი), თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე, დეპუტატი დ. დ. დიასამიძე (ხელვაჩაურის რაიონის ურეხის № 381 საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ნ. შ. პასაძე (წყალტუბოს რაიონის ქალაქის № 241 საარჩევნო ოლქი).

ამით დღის სხდომა დახურულად ცხადდება.

26 დეკემბრის საღამოს სხდომა

16 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის საღამოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. შაკაია.

დეპუტატებმა განაგრძეს მოხსენებებისა და თანამოხსენებების განხილვა დღის წესრიგის პირველ ორ საკითხზე. კამათში მონაწილეობდნენ ხამბრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. შ. კაბულოვა, დეპუტატი ვ. დ. კუპრაძე (ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის № 277 საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ვ. ი. გვარჯალაძე (გეგეჭკორის რაიონის ბანძის № 319 საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ვ. ა. კოჩოლიანი (ახალქალაქის რაიონის ალასტანის № 120 საარჩევნო ოლქი), ციცინოს გამგეობის თავმჯდომარე ა. ნ. შავიშვილი, დეპუტატი ტ. მ. თანრიკვერდიევა (ბოლნისის რაიონის ფაპრალოს № 139 საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ა. ი. ბოლაშვილი (წითელწყაროს რაიონის № 182 საქალაქო საარჩევნო ოლქი), დეპუტატი ა. ხ. იმანოვი (ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის ოქტომბრის № 23 საარჩევნო ოლქი).

ამით საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება.

27 დეკემბერს სესია მუშაობას განაგრძობს.

(საინფორმ).

გავაღიდოთ ჩვენი წვლილი ხუთწლედში, მივაღწიოთ კიდევ უფრო მაღალ მიჯნებს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი დაძაბულად მუშაობენ, რათა გაზარდონ თავიანთი წვლილი სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრისა და სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემულ დებულებებსა და დასკვნებს ყველგან მხურვალედ იწონებენ, ერთსულოვნად ხმარს უჭერენ პარტია, ყველა მშრომელი. საქართველოს კომუნისტებს ისინი მიაჩნიათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების, მათი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის პროგრამად. საქართველოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულონ 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული ახალი მიღწევებით დაამთავრონ ხუთწლედი.

ამაზე იყო ლაპარაკი 25 დეკემბერს გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროების, უწყებების, იდეოლოგიური დაწესებულებების ხელმძღვანელები.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და პლენუმის დადგენილებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან გამომდინარე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. **შევარდნაძემ.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახულ ამოცანათა განხორციელებას, თქვა ამხ. შევარდნაძემ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებული საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური პროგრამის განხორციელებისათვის.

პლენუმმა აღნიშნა, რომ განვლილი ოთხწლეულის მთავარი პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ უზრუნველყოფილია მთლიანად სახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარება, გადაიდგა დიდი ნაბიჯი წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე.

სულ უფრო რეალურად იგრძნობა პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განუხრელი განხორციელების ნაყოფი. ეს დამაჯერებლად მოწმობს მის სისწორეს. ეს არის მუშაობა და ვლეთა, ინჟინერთა და მეცნიერთა, პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლის გმირული, თავგანგებული შრომის შედეგი. ხუთწლედის ოთხი წლის, განსაკუთრებით მისი მეოთხე, განმსაზღვრელი წლის შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობა თანამიმდევრულად ვითარდება იმ კურსის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრა ჩვენი პარტიის ყრილობამ. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მისი სოციალურ-ეკონომიური პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლა არის ყველაზე მთავარი, და ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც განსაზღვრავს როგორც მთელი ქვეყნის, ისე ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი ცხოვრების ხასიათსა და რიტმს.

უკან დარჩა ხუთწლედის არცთუ ადვილი ოთხი წელი. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა პირველი ორი წელი, როცა ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარკვეული შესუსტების გამო რესპუბლიკაში, სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში წარმოიშვა ხუთწლიანი გეგმის დავალებებთან შედარებით მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების, უწინარეს ყოვლისა, წარმოების ზრდის ტემპის მიხედვით.

1973 წელს რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა მთლიანი პროდუქციის რეალიზაციისა და გამოშვების გეგმა. წარმატება ცხადი იყო, მაგრამ ხუთწლედის დავალებებთ დასახული დონე ჯერ კიდევ არ ყოფილა მიღწეული.

ხუთწლედის მეოთხე წელიც მეტად დაძაბული აღმოჩნდა. დიმიაში, რომ რესპუბლიკამ თავი გაართვა ამ სიძნელეებს, წარმატებით დაამთავრა მიმდინარე სამეურნეო წელი, დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს მშრომელებს, რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციას.

როგორც მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, მიმდინარე წელს საქართველოს მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე.

სამრეწველო წარმოების მოცულობა წელს გაიზარდა დაახლოებით 11 პროცენტით გეგმით გათვალისწინებული 9 პროცენტის ნაცვლად. მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა, ესე იგი ის დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, უპირატესი ტემპით ვითარდებოდა საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებლებთან შედარებით. მიღწეულია შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა. ვადამდე, 23 დეკემბერს შეასრულა რესპუბლიკის მრეწველობამ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა. დავალების გადამეტებით გამოშვებული იქნება 140 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგშიც. მიმდინარე წელს მოიკრიფა და გადამმუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 312 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 40 ათასი ტონით მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით 1974 წლისათვის. ოთხი წლის მანძილზე გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსებისა და მზესუმზირას დამზადების ხუთწლიანი გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ჩაის, ხილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის მიყიდვის ოთხწლიანი დავალება. შესრულებულია სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. შესამჩნევად გაუმჯობესდა კოლმეურნეობათა ეკონომიური მაჩვენებლები.

მშენებლობის დარგში ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ასობით ახალი საწარმო, საამქრო, საცხოვრებელი სახლები და სამოქალაქო ნაგებობანი. 11 თვის მანძილზე რესპუბლიკაში ათვისებულია 40 მილიონი მანეთით მეტი კაპიტალური დაბანდება, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ყველა ეს წარმატება, როგორც საქართველოს მეჩაიეებისადმი მისასალმებელ წერილში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, ადასტურებს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ფართო ორგანიზატორულ შუმაობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად რესპუბლიკის მშრომელების დარაზმვისათვის.

საქმის ვითარების საფუძვლიანი ანალიზი, თვითკრიტიკა და მუშაობის საღი შეფასება, საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ზრდის კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვის მისწრაფება — ასეთი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოსულების სულისკვეთება და შინაარსი.

მოხსენებასა და გამოსვლებში მეჩვიდე იყო გაკრიტიკებული აღგილობრივი მრეწველობის სამინისტრო. მომხსენებელმა და ორატორებმა სერიოზულად გააკრიტიკეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაობა.

მოხსენებაში საფუძვლიანად იყო გაანალიზებული რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა. დიდ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, განაცხადეს ორატორებმა, რომ მეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში არ შესრულებულა კაპიტალური მშენებლობის გეგმები. არც ერთი მაჩვენებლის მიხედვით. 1971-1973 წლებში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით არ ამოქმედებული 684 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები. არ შესრულებულა არც მშენებელთა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი.

შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და შემკვეთები მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტებისადმი. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ის მანკიერი პრაქტიკა, რომ წლის დამლევისათვის გადაატანონ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა. 11 ობიექტიდან, რომლებიც მიმდინარე წელს შენდება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, 11 თვეში კაპიტალური დაბანდება ათვისებულია მხოლოდ ენგურჰესისა და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. ასეთი მდგომარეობა იიხსნება დაგვიანებულ არსებული ხაკლოვანებებით, მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების სამუშაოთა ორგანიზაციის დაბალი დონით. სამშენებლო ორგანიზაციებში არცდევენ კაცრების პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს.

მსუბუქი მრეწველობისა და მშენებლობის მინისტრები ამხანაგები გ. გამცემლიძე და ნ. მიქმარიაშვილი სწორად შეხვდნენ კრიტიკას. მაგრამ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, დროა ნაკლოვანებათა კონსტატაციიდან გადავიდეთ მათ აქტიურ აღმოფხვრაზე.

პლენუმზე გამოსული ამხანაგების ბევრი საყვედური გამოიწვია სოფლად მშენებლობის (სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამხ. ი. ხარატიშვილი) არადამაკმაყოფილებელმა მდგომარეობამ, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ხშირად იორღვევა მეცხოველეობის კომპლესების, ფერმებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები. პლენუმზე აღინიშნა დიდი ნაკლოვანებანი. საკავშირო დაქვემდებარების რიგ საწარმოებშიც. კერძოდ ჩამორჩენილია ელექტროშესაღები მოწყობილობის ქარხანა, საქართველოს საყოფაცხოვრებო ქიმიის ფირმა, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტი“, ტყიბულის შახტი „აღმოსავლეთი-2“, ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებელთა ქარხანა. რესპუბლიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმის დავალებებს ელექტრონერგიის, ქიმიური სასუქების, ლითონსაჭრელი ჩარხების, შიფერის, ბამბისა და ბალის ქსოვილების, სასაცვლე ტრიკოტაჟისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოებაში.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა ყურადღებით განიხილონ ცალკეულ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზები, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, დაეხმარონ კოლექტივებს, რომლებიც ჩამორჩნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ზრდის რაოდენობრივ ფაქტორებთან ერთად სულ უფრო მეტად დგება პირველ პლანზე თვისებრივი ფაქტორები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დიდი ხაზგასმა გაკეთდა ხარისხის საკითხებზე, თანაც ეს პრობლემა განიხილეს ყველა ასპექტში. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სამშენებლო სამუშაოებისა და მიწოდებული ნედლეულის ხარისხი, სამმართველო შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის ხარისხი და კულტურა, პროდუქციის ხარისხი, აღინიშნა პლენუმზე, ჩვენი მუშაობის ყველაზე ვიწრო ადგილად რჩება.

წარმოების ყოველი ღონისძიებით ინტენსიფიკაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანები განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელსაც რესპუბლიკისათვის ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ხარისხისა და ეფექტიანობის საკითხებს, აღინიშნა პლენუმზე, უშუალო დამოკიდებულება აქვთ სოფლის მეურნეობასთანაც. პარტია მოგვიწოდებს ამაც გავადიდოთ წარმრება არა იმდენად სათესი ფართობების გაზრდის გზით, რამდენადაც მოსავლიანობის გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მფლობელობისა და მეცხოველეობის საერთო კულტურის ამაღლების გზით.

საქმის ვითარება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, 1975 წლის ხელსაყრელი პერსპექტივების მიუხედავად, საკმაოდ დაძაბულია. მთლიანად ხუთწლედში პირველი ორი წლის ჩამორჩენის გამო სერიოზული საფრთხე შეექმნა ყურძნის, კარტოფილის, ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულისა და კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულებას.

პლენუმზე გაანალიზეს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მდგომარეობა, გამოავლინეს სერიოზული ნაკლოვანებანი, დასახეს თვითეულ რაიონში, თვითეულ მეურნეობაში არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენების ამოცანები.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საზოვადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობა. მაგალითად, ერთი საფურაჟე ბოთხის საშუალო წველადობა რესპუბლიკაში 1.357 კილოგრამს შეადგენს. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ჩვენს ქვეყანაში.

აღინიშნა, რომ რძის დაბალი ხარისხის გამო საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველწლიურად ძვირფას მატერიალურ ფასეულობებს კარგავენ. დიდად ზარალდებიან მეურნეობანი სახელმწიფოსთვის ინარსტანდარტული ხილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გამო. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა შეიმუშაონ და დანერგონ პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური წახალისების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, მეურნეობათაშორის კოოპერაციის გაღრმავების, საკითხებს და მსხვილი აგროსამრეწველო საწარმოების შექმნას.

პლენუმზე აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქალაქო ორგანიზაციათა მონაწილეობას სოფლის მეურნეობის აღმაღლებაში.

მომხსენებელი და ორატორები შეეხნენ დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელდა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, გითვალისწინა იმ ამოცანების მთელი მრავალფეროვნება, რომლებიც ცხოვრებამ, კომუნისტური მშენებლობის მთელმა მიმდინარეობამ წამოაყენეს, და აღინიშნა ორი მთავარი ბერკეტი, რომელთა მეშვეობით შეგვიძლია ახლა საფეხურზე ავიყვანოთ მთელი ეკონომიური მშენებლობა. საქმე ეხებოდა, ძირითადად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და მეურნეობრიობის მექანიზმისა და მეთოდების სრულყოფას.

(დასასრული მე-2 გვ.).

გავაღიდოთ ჩვენი წვლილი ხუთწლედში, მივაღწიოთ კიდევ უფრო მაღალ მიჯნებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

დეკემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში უდიდეს და სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს მეცნიერება. რესპუბლიკას ჰყავს მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კადრები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვით მეორე ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიათა შორის. ჩვენს მეცნიერებს ღირსეული წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ იქტუალური პრობლემების გადაწყვეტას. მიუხედავად ამისა, ბევრი სამეცნიერო ნაშრომი, განსაკუთრებით გამოყენებითი მეცნიერებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო პროექტების დარგში, ჯერ კიდევ ნელა ინერგება. ჭიანურდება სამეცნიერო დაწესებულებებსა და წარმოების შორის ურთიერთობის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელება. სერიოზული კრიტიკის მიუხედავად, დღემდე არ არის მიღწეული ჯეროვანი გარღვეცა ეკონომიური პროფილის ინსტიტუტების მუშაობაში.

პლენუმზე მხარი დაუჭირეს წინადადებებს ტექნიკის მეცნიერებათა დარგში კვლევის გფფართოების შესახებ, დროის მოთხოვნების შესაბამისად მეცნიერთა ძალების სწორი განლაგების შესახებ, აღნიშნეს, რომ საჭიროა შემუშავონ რესპუბლიკაში გამოთვლითი ტექნიკის განლაგების ერთიანი გეგმა.

ეკონომიური საქმიანობის ბევრ სფეროში, საგეგმო ორგანოების მუშაობაში მთელ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ არ არის ნამდვილად მეცნიერული მიდგომა ეკონომიკისა და მეურნეობრიობის პრობლემებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე თეორიული და მეცნიერული სიღრმით შემუშავებულია მომავალი წლისათვის ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა და ამით მომზადებულია ეკონომიური და პოლიტიკური პლაცდარმი სამეურნეო ფრონტზე ახალი მტკიცე შეტევისათვის. ამ შეტევის შედეგად უნდა ავიღოთ და უეჭველია ავიღებთ კიდევ მიჯნებს, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით არის დასახული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

1975 წლის საგეგმო დავალებანი, მათი დაძაბულობის მიუხედავად, ნათქვამი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, უნდა განვიხილოთ როგორც მინიმალური. ამისათვის გვაქვს როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური შესაძლებლობანი.

პოლიტიკური შესაძლებლობანი ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიულ ორგანიზაციათა როლი წარმოებაში და მშრომელთა ინიციატივისა და შეგნებულობაზე დაყრდნობით გავამლოთ მასობრივი შეჯიბრება 1975 წლის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ავამაღლოთ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე, სრულყოთ ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, განვამტკიცოთ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, სამეურნეო მართვის თვითეული რგოლის ბრძოლისუნარიანობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ ბოლო დროს სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა შესამჩნევად გაუუმჯობესეს პარტიის თბილისის, ქუთაისისა და ჭიათურის საქალაქო, მახარაძის, აბაშის, ახალქალაქის, მარხეულის, ბოლნისის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, გორის, წალენჯიხის რაიონულმა კომიტეტებმა.

თუ რამდენად გაიზარდა პარტიის წევრთა პოლიტიკური აქტივობა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ დამთავრებული საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს კამათში გამოვიდა კრებებზე დამსწრე კომუნისტთა თითქმის მესამედი. ანგარიშგება-არჩევნების შედეგად შეიცვალა პირველადი პარტორგანიზაციების სამი ათასზე მეტი მდივანი, მათ სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა ძალები. ახლად არჩეულთაგან ბევრს არ აქვს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საკმარისი გამოცდილება. ამიტომაც პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს კადრების აღზრდის საკითხი.

პარტიული დოკუმენტების გამოცალისათვის მზადებისა და ჩატარების დროს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა გასწიეს დიდი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, პარტიული რიგების გაწმენდას იმათგან, ვინც ღირსი არ არის ატარებდეს ლენინური პარტიის წევრის მაღალ წოდებას, სოციალისტური საკუთრების დატაცების, პროტექციონიზმის, მექრთამეობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ყოველი ღონისძიებით გაძლიერებას.

ერთგვარი წარმატებები ეკონომიკაში, საგეგმო დავალებათა ციფრები, აღინიშნა პლენუმზე, არ უნდა იწვევდეს პარტიული კომიტეტების თვითდამშვიდების გრძნობას, რადგან რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის გასაჯანსაღებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და ამით მტკიცე საძირკველი უნდა ჩაეყაროს შემდგომ ეკონომიურ აღმავლობას და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღეანდელობის მოთხოვნათა საფუძველზე მუშაობის გარდაქმნა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი ვითარება, აღნიშნეს გამოსულებმა, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ეს ეხება საქმის მდგომარეობას ეკონომიკაში. ერთგვარ სამეურნეო წარმატებათა მიუხედავად, იზრდება ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. ჯერ კიდევ დაბალია აღმზრდელობითი მუშაობის დონე. საკმარისი სიმტკიცით არ იბრძვიან ყოველგვარი ჯერის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა გააანალიზონ შექმნილი მდგომარეობა და გამოიტანონ საჭირო დასკვნები, უნდა უურუხველყონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სტილსა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რესპუბლიკის პარტორგანიზაციებში მორალურ-პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელებას, რათა ამით მტკიცე საფუძველი შეექმნას ახალ სამეურნეო-ეკონომიურ წარმატებებს. პლენუმმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. ისინი ღრმა გაგებით ეკიდებიან იმას, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციები, სოციალისტური საკუთრების დატაცება, მექრთამეობა არა თუ ძირს უთხრიან ჩვენს ეკონომიკას, არამედ უდიდეს მორალურ ზიანს აყენებენ.

ეს საზოგადოებრივი ტმეიობა ის ბრძოლის წარმატების საწინდარია, რომელიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს მაღალი პარტიული მოთხოვნელობისა და დისციპლინის ვითარების დამკვიდრებისათვის, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

პლენუმი დიდი მოწონებით შეხვდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატის **შ. ჯოხაძის** გამოსვლას, რომელმაც თქვა:

— ჩვენ კარგად გვესმის, რომ მარტო თანაგრძნობა და სიტყვიერი მხარდაჭერა საკმარისი არ არის, საჭიროა ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის, და, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების აქტიური მტკიცე მოქმედება, რომლებიც არა მარტო კეთილსინდისიერად უნდა შრომობდნენ, არამედ გამოდიოდნენ როგორც პარტიის პოლიტიკური მებრძოლები, საკადრის პასუხს სცემდნენ ყველას, ვისაც არ სურს ფეხი აუწყოს ცხოვრებას, ესწრაფვის ძველებურად იცხოვროს.

პლენუმის მონაწილეებმა განსაკუთრებით აღინიშნეს, რომ ჩვენ გვჭირდება აქტიური, შეტევითი პატიოსნება, მებრძოლური პატიოსნება, რომელსაც ძალა შესწევს გაიყოლიოს მშრომელთა ფართო მასები. არავის არა აქვს მორალური უფლება განზე გაუდგეს ამ ბრძოლას, რომელიც ახლა რესპუბლიკაში წარმოებს, გაჰყვეს დინებას, გულგრილად უმზირის იმას, რაც გარშემო ხდება.

უახლოესი დროისათვის ბრმაპაგანდისტულ და საგაგტაციო-მასობრივ მუშაობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს მშრომელთათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მნიშვნელობის, მისი დებულებებისა და დასკვნების, სსრ კავშირის უმაღლესი საპჭოს სესიის მასალების ღრმა ახსნა-განმარტებამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ითქვა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გავაძლიერთოთ მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, წარვმართოთ იგი ამისათვის, რათა დავამკვიდროთ და განვავითაროთ შრომითი აქტივობის აღმავლობა, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ მოწინავე გამოცდილების გავრცელებას. შემხვედრ გეგმებს, სოციალისტური შეჯიბრება გამოვიყენოთ მთავარ სოციალურ-ეკონომიურ ამოცანათა გადასაწყვეტად, გავაკეთოთ არა მარტო მეტი, არამედ უკეთ და უფრო ეკონომიურად — აი სად უნდა გადაინაცვლოს სოციალისტურ კალდებულებათა ცენტრმა.

სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების ორგანიზაციულ-იდეოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანა კომპლექსურად უნდა წყდებოდეს. მასებზე იდეური ზემოქმედების ყველა საშუალებამ — მასობრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ, მშრომელთა პარტიულ-განათლებისა და ეკონომიური განათლების სისტემამ, სალექციო პროპაგანდამ, თვალსაჩინო აგიტაციამ, პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ უნდა გადაწყვეტონ იდამიანთა კომუნისტური აღზრდის, ხუთწლედის დავალებათა და დაძაბული შემხვედრი გეგმების უფუო შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვის ამოცანა, მტკიცედ აწარმოონ შეტევა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში კერძომესაკუთრული გადმონაშთების წინააღმდეგ.

მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა ჩვენი ქვეყანა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული დიდი მიღწევები მყარ საფუძველს ქმნიან 1975 წლის ამოცანათა წარმატებული გადაწყვეტისათვის. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, რომელიც ამავე დროს იქნება სკკპ XXV ყრილობის წინა წელი, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდი დაძაბული მუშაობა მოელით.

მიღებულ გადაწყვეტილებაში პლენუმმა რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს აღუთქვა, რომ საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი თავიანთ ღირსეულ და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ 1975 წლისათვის დასახულ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტაში. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად შეგიტანთ საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განუყოფელი ნაწილს შეადგენს.

წარმოდგენილი გეგმის პროექტში ასახულია ის ძირითადი საკითხები, რაც „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიულ დადგენილებაში არის გათვალისწინებული 1975 წლისათვის.

მინდა მოგახსენოთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების და რესპუბლიკური პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების დადგენილებათა საფუძველზე დაეგმავის პრინციპების გაუმჯობესების შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი მითითებების შესაბამისად, საგეგმო კომიტეტმა სამინისტროების და უწყებების მასალების საფუძველზე შეადგინა და ამა წლის ნოემბერში განიხილა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი ტერიტორიულ ჭრილში — ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. ეს არის პირველი ცდა და განხორციელება გეგმის რაიონების მიხედვით შედგენისა. გეგმების პროექტები განხილულ იქნა საგეგმო კომიტეტის აპარატში. განხილაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პასუხისმგებელი მუშაკები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი ღონისძიებების გატარება მეტად საჭირო, დროული და სასარგებლოა.

ეს იყო პირველი ცდა, გეგმების პროექტის შედგენისა ტერიტორიული პრინციპით. ჩვენ მომავალში მეტ ყურადღებას მივაქცევთ იმ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას, დავხვეწავთ მისი შედგენის ფორმებსა და მეთოდებს, უფრო ფართო აქტივს ჩავაბამთ მის მომზადებასა და განხილვაში.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის მაისსა და ნოემბერში შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეცამეტე და ექვსოთხმეტე პლენუმები.

მაისის და ნოემბრის პლენუმების მიერ დასმული საკითხები აისახა 1975 წლის გეგმის პროექტში.

პლენუმების დადგენილებები მიგვითითებს იმაზე, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ავაღაღლოთ სამეურნეო მუშაობის დონე, აღვაკვეთოთ სერიოზული ჩამორჩენა და ნაკლოვანებები როგორც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

პლენუმების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულებაზელს შეიუწყობს ყველა ის დავალების წარმატებით გადაჭრას, რაც საქართველოს სახალხო მეურნეობის წინაშე დგას მცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ, 1975 წელს.

ამხანაგო დეპუტატებო! ვიდრე მოგახსენებდეთ 1975 წლის გეგმის პროექტის ძირითად მაჩვენებლებს, ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო 1974 წლის და ხუთწლედის ოთხ წლიწადში რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მთავარ შედეგებს.

მეცხრე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში განხორციელებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოციალური პროგრამის დარგში. წინასწარი გაანგარიშებით 1971-1974 წლებში მუშამოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 10-12 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 16-17 პროცენტით, რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე — 22 პროცენტით.

გაიზარდა პენსიებისა და სტიპენდიების ოდენობა.

გაფართოვდა განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის და სამეცნიერო დაწესებულებების ქსელი, გაძლიერდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება, თუმცა ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე დაფინანსების ყველა წყაროების მიხედვით ოთხ წელიწადში ათვისებულია 664 მილიონი მანეთი, აშენდა 6 მილიონ 800 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდამ განაპირობა საკალო საქონლეობრუნვის ზრდა ოთხ წელიწადში 29 პროცენტამდე, ხოლო მიმდინარე წელს 1973 წელთან შედარებით —6,4 პროცენტით. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზრდება შესაბამისად — 1,5-ჯერ და 6,6 პროცენტით, სოფლად კი — 1,6-ჯერ და 12,9 პროცენტით.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენთვის ცნობილია, რომ ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგებით მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად ნამორჩენებოდა დასახულ მაჯნებს.

საქართველოს კომპარტიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, თუ 1973 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა მიაღწია 8,1 პროცენტს, წლეულს, როგორც მოგახსენეთ, წარმოება გაიზრდება 11 პროცენტამდე გეგმით გათვალისწინებული 9 პროცენტის ნაცვლად.

ამასთან ერთად შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ მიმდინარე წლის 11 თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 151 საწარმომ (13,7 პროცენტმა) ვერ შეასრულა და სახალხო მეურნეობას დააკლო 37 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. დიდი რაოდენობით ვერ ასრულებენ გეგმებს სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (28 პროცენტი), აღგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (29 პროცენტი) და საქალაშირო დაქვემდებარების საწარმოები (18 პროცენტი).

ჯერ კიდევ დაბალია მუშაობის ცალიანობის კოეფიციენტი მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგებში.

არ სრულდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი დავალებანი სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვისა, რაც ეფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. მთელი რიგი საწარმოები გეგმებს სისტემატურად ვერ ასრულებენ და მათ ჩამორჩენას თავი ვერ დაადწიეს.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენი ყურადღება განსაკუთრებით მინდა გავამახვილო რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების პროდუქციის ხარისხზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო პერიოდში გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს დღევანდელი დღის გაზრდილ მოთხოვნილებას.

საკმარისია ითქვას, რომ შემოწმებული საქონლიდან მიმდინარე წლის I კვარტალში დაწუნებულ იქნა 26 პროცენტი, II კვარტალში — 32 პროცენტი, ხოლო III კვარტალში — 38,2 პროცენტი.

1974 წლის 9 თვეში საქონლის მიუწოდებლობასა და ხარისხის დაფიცარებაზე მარტო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ჯარიმის სახით გადაიხადა 5,2 მილიონ მანეთი, აქედან 1,6 მილიონი მანეთი დაბალ ხარისხში ჩამოყვანისა და წუნდებული საქონლისათვის.

რესპუბლიკის მრეწველობამ ამავე პერიოდში საკავშირო ორგანიზაციებს დააკლო 103 მილიონი მანეთის პროდუქცია.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას განსაკუთრებით ათეულობს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობა.

ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში კაპიტალური მშენებლობის, ძირითადი ფონდების და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების ზრდის ტემპები ბევრად ჩამორჩება გეგმით დადგენილებს. 1970 წელთან შედარებით წლეულ გეგმების მიხედვით კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა 1974 წელს უნდა გაზრდილიყო 15 პროცენტით. წინასწარი გაანგარიშებით ზრდა არ აღემატება 4 პროცენტს.

სამი წლის და 11 თვის განმავლობაში არ იყო ათვისებული 44 მილიონ 700 ათასი მანეთი კაპიტალური დაბანდება, ხოლო მიმდინარე წლის 11 თვეში კი ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 44 პროცენტით, ანუ მისი მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაბალია 15 პროცენტით.

ამხანაგო დეპუტატებო! სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ყოველწლიურად მნიშვნელოვანი სახსრები აყოფა, მაგრამ სათანადო ყურადღება არ ექცევა მისი ათვისებისა და ეფექტიურად გამოყენების საქმეს.

1971-1973 წლებში გამოყოფილი 697,5 მილიონი მანეთიდან ათვისებულია 590,5 მილიონი მანეთი. განვლილი სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში არ იქნა ათვისებული 107 მილიონი მანეთი, რაც ძირითადად უნდა მოხმარებოდა მრავალწლიანი კულტურების გაშენებისა და მოვლის სამუშაოებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ხაზგასმით იყო აღნიშნული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის დეკემბრის პლენუმზე და ეხება საქმის მდგომარეობას ეკონომიკაში. ერთგვარ სამეურნეო წარმატებათა მიუხედავად, იზრდება ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. ჯერ კიდევ დაბალია აღმზრდელობითი მუშაობის დონე. საკმარისი სიმტკიცით არ იბრძვიან ყოველგვარი ჯერის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა გააანალიზონ შექმნილი მდგომარეობა და გამოიტანონ საჭირო დასკვნები, უნდა უურუხველყონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სტილსა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რესპუბლიკის პარტორგანიზაციებში მორალურ-პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელებას, რათა ამით მტკიცე საფუძველი შეექმნას ახალ სამეურნეო-ეკონომიურ წარმატებებს. პლენუმმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. ისინი ღრმა გაგებით ეკიდებიან იმას, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციები, სოციალისტური საკუთრების დატაცება, მექრთამეობა არა თუ ძირს უთხრიან ჩვენს ეკონომიკას, არამედ უდიდეს მორალურ ზიანს აყენებენ.

ეს საზოგადოებრივი ტმეიობა ის ბრძოლის წარმატების საწინდარია, რომელიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს მაღალი პარტიული მოთხოვნელობისა და დისციპლინის ვითარების დამკვიდრებისათვის, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

პლენუმი დიდი მოწონებით შეხვდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატის **შ. ჯოხაძის** გამოსვლას, რომელმაც თქვა:

— ჩვენ კარგად გვესმის, რომ მარტო თანაგრძნობა და სიტყვიერი მხარდაჭერა საკმარისი არ არის, საჭიროა ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის, და, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების აქტიური მტკიცე მოქმედება, რომლებიც არა მარტო კეთილსინდისიერად უნდა შრომობდნენ, არამედ გამოდიოდნენ როგორც პარტიის პოლიტიკური მებრძოლები, საკადრის პასუხს სცემდნენ ყველას, ვისაც არ სურს ფეხი აუწყოს ცხოვრებას, ესწრაფვის ძველებურად იცხოვროს.

პლენუმის მონაწილეებმა განსაკუთრებით აღინიშნეს, რომ ჩვენ გვჭირდება აქტიური, შეტევითი პატიოსნება, მებრძოლური პატიოსნება, რომელსაც ძალა შესწევს გაიყოლიოს მშრომელთა ფართო მასები. არავის არა აქვს მორალური უფლება განზე გაუდგეს ამ ბრძოლას, რომელიც ახლა რესპუბლიკაში წარმოებს, გაჰყვეს დინებას, გულგრილად უმზიროს იმას, რაც გარშემო ხდება.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმის ძირითადი პოზიციები

1975 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი გაიზრდება 8,8 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავალი — 8,2 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება სახალხო მეურნეობაში 1975 წლის გეგმა 84,3 პროცენტით და ჩაუბარებელი დარჩა 466 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართობი, რომელიც დააკმაყოფილებდა დაახლოებით 9320 ოჯახს. მიმდინარე წლის 11 თვეში ამთავრებენ გაუმჯობესდა საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება, მაგრამ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების გეგმა შესრულებულ იქნა 93 პროცენტით და ათვისებულ ვერ იქნა 9,2 მლნ მანეთი, ხოლო საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის ხაზით აუთვისებელი დარჩა 5 მილიონ მანეთზე მეტი.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობს გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება ავტომობილების და საშენი მასალების მრეწველობის, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა დარგებში. კაპიტალური დაბანდებების გეგმების შესრულება ძალიან დაბალია აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთში.

მრეწველობა

რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზრდება 8,1 პროცენტით, რაც ვერ უზრუნველყოფს სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული დირექტივებით გათვალისწინებულ ზრდას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამრეწველო წარმოების გადიდების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ტემპი (39 პროცენტი), 1975 წელს გეგმის გადამეტებით უნდა გაწარმოოთ 140-150 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ხუთწლედის დონეზე და უფრო ზევით გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების, ქიმიური ბოჭკოს, სამაგნიტოფონო ლენტების, ელექტროენერგიის, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აბრეშუმის ქსოვილების, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ბაიხის ჩაის, მინერალური წყლების და ზოგიერთი სხვა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება.

ხუთწლიან გეგმასთან შედარებით ჩამორჩენა გვაქვს ზოგიერთი სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში, სახელდობრ: ელექტროენერგიის, ქიმიური სასუქების, ლითონსაჭრელი ხარხების, შფერის, საკვლევ მასალების, ბამბეულის ქსოვილების, ავეჯის გამოშვებაში, რაც ძირითადად გამოწვეულია მოქმედი საწარმოო სიმძლავრეების დაბალი დონით, საწარმოო სიმძლავრეების მოქმედებაში გადაცემისა და ახალი სიმძლავრეების ათვისების ვადების დარღვევით.

1975 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს ელექტროენერგეტიკის შემდგომ განვითარებას. ელექტროენერგიის წარმოება მიაღწევს 11 მილიარდ 90 მილიონ კილოვატ-საათს, რაც 6,2 პროცენტით აღემატება მოსალოდნელ დონეს. ელექტროენერგიის წარმოების ხუთწლიანი გეგმა არ სრულდება ენგურჰესის ორი აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემის შეფერხების გამო.

ქვანახშირის მოპოვება გათვალისწინებულია 1974 წლის დონეზე, ნავთობის მოპოვება კი გაიზრდება 29 ათასი ტონით.

გაიზრდება შავი მეტალურგიის საწარმოთა პროდუქცია.

ფერად მეტალურგიაში პროდუქციის წარმოება იზრდება 61 პროცენტით, ასეთი ზრდა მოხდება მადნიულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სინძისარიების პირველი რიგის ამოქმედებით.

ხუთწლედით გათვალისწინებულ დავალებებთან შედარებით დიდი ჩამორჩენაა ქიმიურ მრეწველობაში, რაც ძირითადად გამოწვეულია რუსთავის ქიმიურ კომბინატში ნორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი ტექნოლოგიური მოწყობილობის არსებობით და საწარმოო სიმძლავრეების დაბალი გამოყენებით საყოფაცხოვრებო ქიმიისა და „საპონლმერტარის“ საწარმოებში.

სხვა დარგებთან შედარებით უფრო მაღალი ტემპებით განვითარდება მანქანათმშენებლობა. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გამოშვებამ გაიზრდება 18,4 პროცენტით, სამაგისტრალო ელმავლებისა — 8,5 პროცენტით, სტანოკთა ელექტრომიმოგლებისა 5,9 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა— 13,7 პროცენტით და ა. შ.

1975 წლისათვის ხეტყის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საერთო პროდუქცია გაიზრდება 2,8 პროცენტით. მერქნის გამოზიდვა გათვალისწინებულია ხუთწლედის დონეზე და შეადგენს 400 ათას კუბურ მეტრს. კაპიტალური დაბანდებები ამ დარგში გათვალისწინებულია 14 მილიონ მანეთამდე, რაც მიმდინარე წლის გეგმას აღემატება 30 პროცენტით.

გათვალისწინებულია საშენი მასალების მრეწველობის შემდგომი განვითარება. წარმოებულ იქნება 1 მილიონ 300 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, საკედლე მასალები — 809 მილიონ 300 ათასი ცალი პირობითი აგური, არამადნეული საშენებლო მასალები — 10 მილიონ 700 ათასი კუბური მეტრი, ციმენტი — 1 მილიონ 650 ათასი ტონა.

დასახულია მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება. სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდება 8,1 პროცენტით. მიუხედავად ამისა, ხუთწლედის დავალებასთან შედარებით მაინც ჩამორჩება 15,4 პროცენტით, რაც გამოწვეულია ცალკეული მშენებარე ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაგვიანებით, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებებით.

დიდი ამოცანებია დასახული კვების მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. კვების მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარება 1975 წლისათვის დაგე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენების დასასრული

მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების გადიდებასთან ერთად მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ხაზით. 1975 წელს წარმოებული იქნება 212 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონით) ნაცვლად 1974 წლის 201 ათასი ტონისა. ხორცის შესყიდვის ხუთწლიანი გეგმა შესრულდება 120 პროცენტით. რძის წარმოება საგეგმო წელს მიაღწევს 710 ათას ტონას, ხოლო საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე — 1454 კილოგრამს. რძის შესყიდვის მეცხრე ხუთწლიანი გეგმა შესრულდება.

საგრძნობლად გაიზრდება კვერცხის წარმოება. მომავალ წელს წარმოებულ იქნება 616 მილიონი ცალი კვერცხი - ნაცვლად 1974 წლის 564 მილიონი ცალისა. მიუხედავად ამისა, კვერცხის წარმოების ხუთწლიანი გეგმა შესრულდება მხოლოდ 88 პროცენტით. ასეთი ჩამორჩენა უმთავრესად გამოწვეულია მეფრინველეობის ფაბრიკების სიმძლავრეების სექციალიზაციისა და დადაცემის გეგმების შეუსრულებლობით.

ყველა კატეგორიის მეურნეობაში ძატყლის წარმოება ძმავალ წელს გახისახლდება 5 ათას 500 ტონის ოდენობით. მატყლის წარმოების ხუთწლიანი გეგმა შესრულდება 106 პროცენტით, ხოლო შესყიდვისა—102 პროცენტით.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ყველა კომპლექსის სამუშაოთა ჩასატარებლად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გათვალისწინებულია 308 მილიონი მანეთის ოდენობით (მთ შორის საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე—292 მილიონი მანეთი), რაც 1974 წლის დონეს აღემატება 15,8 პროცენტით.

როგორც გასულ წლებში, ისე 1975 წელს საირიგაციო-სამელიორაციო ღონისძიებათა ჩასატარებლად გათვალისწინებულია 100 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, რაც უზრუნველყოფს 22 ათასი ჰექტარი სარწყავი და 12 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწების სექციალიზაციოდ გადაცემას. გარდა ამისა, ჩატარდება მნიშვნელოვანი სამუშაოები არსებული სარწყავი სისტემების გადაკეთებისათვის. ხუთწლედში სექციალიზაციოდ გადაეცემა სარწყავი მიწები 64 ათას 700 ჰექტარი და ამოშრობილი მიწები—43 ათას 600 ჰექტარი ისევდაც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 70 ათასი და 50 ათასი ჰექტარისა.

მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ობიექტების მშენებლობაზე წარიმართება 25 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. გათვალისწინებულია მეფრინველეობის ფაბრიკების შემდგომი გაფართოება 1975 წელს.

სერიოზული ყურადღება ექცევა სათბურების მშენებლობას. ამ მიზნისათვის 1975 წელს გამოყოფილია 7 მილიონ 700 ათასი მანეთი. ამოქმედდება კრწანისის მებოსტნეობის მეურნეობის სასათბურე კომბინატის მესამე რიგი 6 ჰექტარი ფართობით.

გათვალისწინებულია ამოქმედდეს 32 ათასი ტონა მინერალური სასუქების შესანახად, ტექნიკური მომსახურების სადგურები 2 ათას ავტომანქანაზე წელიწადში.

წინასწარი კალკულაციებით სოფლის მეურნეობის დარგში 1971-1975 წლებში ითვისებულ იქნება 1 მილიარდ 146 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე—552 მილიონი მანეთისა.

სატყეო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტი ითვალისწინებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულებას, ტყის აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას 32 ათას ჰექტარზე, ტყის მოწყობის სამუშაოებ კი — 355 ათასს ჰექტარზე. ტყეკაფვის ოდენი 1975 წლისათვის განისაზღვრება 860 ათასი კუბური მეტრის ოდენობით.

მომავალ წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შრომის ნაყოფიერების ზრდას მთლიანად სოფლის მეურნეობაში. 1974 წელთან შედარებით 1975 წელს საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 19,7 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეობებში — 6,5 პროცენტით. მაგრამ ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში შრომის ნაყოფიერების დაბალი დონის გამო შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის დავალება არ სრულდება.

ტრანსპორტი და ავტომანქანობა

სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობასთან ერთად მნიშვნელოვნად განვითარდება ტვირთა სახის ტრანსპორტი და ავტომანქანობა.

1975 წელს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა შეადგენს მილიარდ 62 მილიონ ტონა-კილომეტრს, რაც მოსალოდნელ შედეგებთან შედარებით გაიზრდება 5,8 პროცენტით.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით სახელმწიფო საქმესაერთაშორისო კაპიტალური დაბანდებები შეადგენს 25 მილიონ 500 ათას მანეთს, რაც 2 მილიონი მანეთით აღემატება 1974 წლის გეგმას.

შემდგომ განვითარებას პოულობს რკინიგზის, საზღვაო და სამოქალაქო ავიაციის ტრანსპორტი.

1975 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს ავრეთვე საავტომობილო გზების მშენებლობას. ამ მიზნისათვის გამოყოფილია 11 მილიონ მანეთამდე კაპიტალური დაბანდებანი.

შემდგომ განვითარდება კავშირგაბმულობა. კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობა მომავალი წლისათვის დაგეგმილია 64 მლნ 400 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 1974 წლის მოსალოდნელ შეასრულებას აღემატება 7 პროცენტით.

კაპიტალური მშენებლობა

ამხანაგო დეპუტატებო! 1975 წლის დავალებათა უზრუნველსაყოფად დიდი ამოცანებია დაისახული კაპიტალური მშენებლობის დარგში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების მოცულობა 726 მილიონ მანეთს შეადგენს, რაც 1974 წლის გეგმას აღემატება 8 პროცენტით, მათ შორის კაპიტალდასახდებათა მოცულობა, რომელიც უშუალოდ რესპუბლიკას გაძოეყოფა, იზრდება 9 პროცენტით.

1975 წელს კაპიტალური დაბანდებები 1974 წელთან შედარებით მშენებლობაზე გაიზრდება: სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტებზე — 17 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტზე — 9 პროცენტით, საგზაო მეურნეობაზე — 8 პროცენტით, საპაერო ტრანსპორტზე — 9 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე — 15 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვაზე — 7 პროცენტით და სხვა.

მომავალი წლისათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებები ძირითადად წარიმართება ასამუშაოებელი ობიექტების მშენებლობისათვის, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის, ძველი მოწყობილობის განახლების, ახალი პროგრესული ტექნიკის დანერგვის და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებისათვის, რომელიც 1975 წლის ბოლოსათვის დაუახლოვდება ნორმატულ მაჩვენებელს. თუ 1974 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ მეურნეობაში მშენებარე ობიექტების საერთო რაოდენობა გარდა საცხოვრებელი სახლებისა, შეადგენს 2045 ერთეულს, 1975 წლისათვის მათი რაოდენობა შემცირდება 1600 ერთეულამდე, ანუ 22 პროცენტით, ამის შედეგად დაუმთავრებელი მშენებლობის შეფარდება კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობასთან 1974 წელს შეადგენდა 73 პროცენტს, ხოლო 1975 წლისათვის ასამუშაებელ ობიექტებზე სახსრების კოცენტრაციის შედეგად დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა 64 პროცენტამდე შემცირდება.

საწარმოო მშენებლობისათვის განკუთვნილი კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობიდან 40 პროცენტი გათვალისწინებულია მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოებაზე. სხვა დარგებისათვის კაპიტალური დაბანდებების შემცირების ხარჯზე გაგრძელდება თბილისის მეტროპოლიტენის და „დინამოს" სტადიონის მშენებლობა.

საერთო მოცულობა იმ საიჯარო სამუშაოებისა, რომელიც 1975 წელს შესრულდება მშენებლობის სამინისტროს მიერ, შეადგენს 320 მილიონ მანეთს, ხოლო სასოფლო მშენებლობის სამინისტროსი — 105 მილიონ მანეთს, რაც 1974 წელთან შედარებით შესაბამისად მეტია 6,8 პროცენტით და 18,6 პროცენტით.

საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები შევსებული იქნება ახალი სამშენებლო ტექნიკით.

გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შესასრულებლად გათვალისწინებულია 22 მილიონი მანეთი.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა სახალხო მეურნეობაში

მეცნიერებისა და ტექნიკის გავითარებას გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა გატარება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. 1975 წელს განხორციელდება მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას 48 ღონისძიება და საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის 66 ღონისძიება; წარმოებაში დაინერგება 55 მექანიზებული და ავტომატიზებული ნაკადური ხაზი; დაინერგება 489 ახალი მაღალი წარმადობის ჩარხი; მრეწველობის სხვადასხვა დარგში მექანიზებული იქნება 35 უბანი და 12 საამქრო.

კიდევ უფრო გაფართოვდება გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის სამუშაოები.

სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოებისათვის გამოყოფილია 42 მილიონ 600 ათასი მანეთი. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას თან ახლავს მეცნიერი კადრების რაოდენობის შესაბამისი ზრდა. ხუთწლედის პირველ ოთხ წელიწადში მომზადდა 1179 ასპირანტი. 1975 წელს ასპირანტურაში მიიღება 288 კაცი და ორმზადდება 254.

1975 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ხელფასის ფონდის ზრდა 5,2 პროცენტით. მნიშვნელოვნად მატულობს შრომის ნაყოფიერება. ხუთწლედში რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში პროდუქციის მატების 84 პროცენტი მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

პროდუქციულ-ტექნიკურ სასწავლებლებში განსაზღვრულია 24 ათას 400 მოსწავლის მიღება, მათ შორის მოსწავლეთა მიღება კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად სამუშაო ცოდნით გაიზრდება 5,6 პროცენტით.

გეგმის პროექტით რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში, 1975 წლისათვის დახარჯული სასაქონლო პროდუქციის ერთ მანეთზე განსაზღვრება 82,6 კაპიკის ოდენობით, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება 1,4 პროცენტით. მოგება მრეწველობაში გაიზრდება 15,9 პროცენტით.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრ კავშირის ძეცხრე ხოზეველის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალებიდან 1975 წლის გეგმით კიდევ უფრო ამაღლდება ხალხის ცხოვრების დონე.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იეფი ძეკვეხის მთელ ტერიტორიაზე დაძთავრდება ხელფასის მინიმუმის ძოძატება. განაკვეთები და სარგოები გაეფიდდებთ მატერიალური წარმოების დარგებში მუშა-მოსამსახურეებს და ასევე დროს სახალხო ძეურნეობის ყველა დარგის მუშაკებს, რომელთა თვიური ხელფასი 70-მდე მანეთია, გაუექმდებთ ხელფასის გადასახადები და ერთი მეასედითა და მეტად შემცირდება გადასახადების განაკვეთები 71-დან 90-ანეთამდე ხელფასზე. გეგმით გათვალისწინებულია ხარჯები ხაკლებ უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის დახმარების მისაცემად.

მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობისა და საკაქონლო ოესურსების გათვალისწინებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით იზრდება 7,1 პროცენტით და შეადგენს 3 მილიარდ 90 მილიონ მანეთს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა იზრდება 9,4 პროცენტით, ხოლო სოფლად — 15,3 პროცენტით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ღონისძიებანი, ერთ-ერთი ასეთი უდიდესი სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობის ღონისძიებაა ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების დაწესება, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად წლეულს 1 ნოემბრიდან გატარდა. ამ მიზნით 1975 წელს რესპუბლიკაში 54 მილიონ მანეთზე მეტი გაიცემა.

1975 წლიდან საწარმოო დარგებში შემოღებული იქნება ხელფასის ააალი მინიმუმი: განაკვეთები და სარგოები გაუფიდდებთ საშუალოხელფასიან მუშა-მოსამსახურეებს.

ამჟამად უკვე ხორციელდება მოსახლეობაში ადრე ხელმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ვადამდე დაფარვა.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავად გათვალისწინებულია 27,3 მილიონი მანეთი. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებმა, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ასიგნებათა რაციონალურად და მომჭირნეობით ხარჯვას.

ერეკლეს ბაღი

ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

ამხანაგო დეპუტატებო! იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომელიც გათვალისწინებულია 1975 წლის გეგმის პროექტით ბუნების დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის, გამოყოფილია 39 მილიონ მანეთამდე.

გათვალისწინებულია გამწმენდი ნაგებობების ამოქმედება სოხუმში, გუდაუთაში, კასპში, რომელთა საერთო სიმძლავრე შეადგენს 35 ათას კუბურ მეტრ ჩამდინარე წყალს დღე-ღამეში.

იმის გამო, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებულია როგორც წყლის, ისე ქარის ეროზია, 1975 წლისათვის გათვალისწინებულია ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსი: მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება 850 ჰექტარზე, ხვეულისა და უვარგისი მიწების გამაგრება და გატყიანება 3 ათას 700 ჰექტარზე, ტერასების მოწყობა დამრეც ფერდობებზე — 220 ჰექტარზე და 6 მილიონ 400 ათასი მანეთის ღირებულების ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა.

ტყის დაავადებისა და მავნებლებთან ბრძოლის ავიაქიმიური ღონისძიებები განხორციელდება 50 ათას ჰექტარზე.

ამხანაგო დეპუტატებო! 1975 წლის გეგმა ითვალისწინებს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მრეწველობის შემდგომ განვითარებას, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, საბანაო და კომუნალურ მშენებლობას, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის გაფართოებას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლების და კულტურის ქსელის განვითარებას.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ამთავრებს ჩვენი ქვეყანა 1974 წელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ა. წ. 16 დეკემბრის ჩატარებულმა პლენუმმა რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო დარაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციას დაავალა შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმისა და მთლიანად შეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! 1975 წლის გეგმის დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად სამინისტროებმა, უწყებებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა აღმოფხვრან ის სერიოზული ხაკლოვანებანი, რის შესახებაც მთელი პრინციპულობით იქნა აღნიშნული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე და პარტიული აქტივის კრებებზე, მტკიცედ დაიცვან სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინა და მომაღალი წლის პირველი დღიდანვე იბრძოლონ დამტკიცებული დავალებების გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია დაუღალავი შეიმოქმედებით შრომით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ახალ მიღწევებს მოიპოვებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. (ტაში).

საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ფ. ა. ანანიაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1975 წლის — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ამ ერთი კვირის წინათ, როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მერვე სესიამ მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა და დამტკიცა სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების უსინჯველოვანეს ღონისძიებებს. სესიაის წინ უძღოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა და ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიისა და ხალხის მთავარი ყურადღება მიაპყრო ეკონომიური განვითარების საკვანძო საკითხებს, რაც ახალ იმპულსს აძლევს კომუნისტისა შემოქმედებითი ენერგიის აღმავლობას, ხალხის ინიციატივის გამლას და მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას.

საქართველოს მშრომელმა სსრ კავშირის მთელ ხალხთან ერთად, მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასამტკიცებლად შემოაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1975 წლის — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ამ ერთი კვირის წინათ, როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მერვე სესიამ მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა და დამტკიცა სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების უსინჯველოვანეს ღონისძიებებს. სესიაის წინ უძღოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა და ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები.

ამ ერთ-ერთ ეტაპზე, ამ ერთ-ერთ ეტაპზე, ამ ერთ-ერთ ეტაპზე,

დეპუტატ შ. ა. ანანიაშვილის მოხსენების დასასრული

დიდი ყურადღება დაეთმობა ტყის დაცვისა და მოვლა-პატრონობის, სწორად ექსპლოატაციის საქმეს, გაფართოვდება და კეთილმოწყობა სპეციალურად გამოყოფილი შშრომელთა დასასვენებელი ადგილები ტყის მასივებში და მწვანე ზოლის ადგილებში.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ხაზით საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებულია 21.7 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც წლევანდელი წლის დამტკიცებულ გეგმას 6.4 პროცენტით აღემატება.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო!

სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალურ დაბანდებათა პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე.

1975 წელს სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნება 357.5 მილიონი მანეთი საბიუჯეტო ასიგნებები და 228.5 მილიონი მანეთი საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრები.

საწარმოო დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის თითქმის 40 პროცენტი მოხმარდება მოქმედ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, რამაც დიდად უნდა შეუწყოს ხელი კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობის ზრდას.

საბინაო მშენებლობის დაფინანსებაზე 1975 წელს 80 მილიონ მანეთზე მეტია გათვალისწინებული. 1975 წელს რესპუბლიკაში დაფინანსებას ყველა წყაროს ხარჯზე, საკავშირო ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობის ჩათვლით, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1562 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს. ამის შედეგად რესპუბლიკაში გიაზარდა ძირითადი ფონდების სამოქმედო გადაცემის ტემპი.

1975 წლისათვის მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების ორგანიზაციათა და საწარმოთა მოგება გათვალისწინებულია 32.4 მილიონი მანეთის ოდენობით. აღნიშნული სამინისტროები ვალდებული არიან ყველაფერი იღონონ მოგების და ბიუჯეტში გადასახდელების გეგმების შესრულებისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად უნდა იბრძოლონ საქართველოს სსრ სახმშენმა და სახბანკისა და მშენბანკის რესპუბლიკურმა კანტორებმა, რომლებმაც უნდა გააძლიერონ კონტროლი მშენებლობის მიმდინარეობისა და სამშენებლო ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობისადმი.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო! 1975 წელს მხიმენელოვანი სახსრები იქნება გამოყოფილი საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, კავშირგაბმულობის, სახნაკომუნალური მეურნეობის, გაზიფიკაციის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაფინანსებაზე.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაზით 1975 წელს ხარჯები, 1974 წელთან შედარებით, იზრდება და 51 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. მოგება გათვალისწინებულია 54.7 მილიონი მანეთის ოდენობით.

საერთო სახელმწიფოებრივი, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების კაპიტალურ მშენებლობაზე, რომლისა და შენახვაზე 1975 წლისათვის ასიგნებები ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 62 მილიონი მანეთის ოდენობით. გარდა ამისა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-შემდგომი განვითარება შეეხება ამავე ორივე ქვეყნის ხალხების ინტერესებს, აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს, იმ პოზიტიურ ცვლილებათა საერთო სულისკვეთებას, რომლებიც ამჟამად ხდება საერთაშორისო ვითარებაში.

ა. მალიქმა ნ. ვ. პოდგორნის გადასცა ინდონეზიის პრეზიდენტის სუპარტოს წერილი.

საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში პ. ხ. კუზნეცოვი და ინდონეზიის ელჩი სსრ კავშირში ხ. დარუსმანი. (საკდესი).

ა. ა. გრომიკოსა და ა. მალიქის მოლაპარაკება

25 დეკემბერს გრძელდებოდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. მალიქის მოლაპარაკება, რომლის დროსაც განიხილეს ურთიერთსაინტერესო საკითხები. (საკდესი).

ქალის საერთაშორისო წელი სსრ კავშირში

24 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირში ქალის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხები, რომლებიც უკავშირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVII სესიის მიერ გამოცხადებული ქალის საერთაშორისო წლის ფარგლებში ღონისძიებათა ორგანიზაციას სსრ კავშირში.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმ. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საყურადღებო საერთაშორისო აქციის განხორციელებას. კ. ტ. მაზუროვი შეეხო კომისიის მუშაობის ძირითად მიმართულებებს და აღნიშნა, რომ 1975 წლის გამოცხადება ქალის წლად ხელს შეგვიწყობს უფრო ფართოდ გავაშუქოთ ქალის საკითხის გადაწყვეტაში ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული მიღწევები, რომლებიც ახლა მძლავრ იმპულსს აძლევენ ქალის თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეს.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა იმ საკითხებს, თუ რა ურთიერთობა აქვს კაპიტალისტურ ოთხმოწყობის ღონისძიებებზე —69 მილიონი მანეთი. ბინების გაზიფიკაციასა და თბოფიკაციაზე — 6.8 მილიონი მანეთი.

საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს.

რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას 1975 წელს 41.3 მილიონი მანეთი მოხმარდება, აქედან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაზე ბიუჯეტით 16 მილიონი მანეთია გათვალისწინებული. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1975 წელს 7.1 პროცენტით გაიზრდება და 3090 მილიონ მანეთს შეადგენს.

წლითიწლობით ფართოვდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ღონისძიებები. 1975 წლისათვის წლევანდელი წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებისათვის გათვალისწინებული ხარჯები 21.3 პროცენტით იზრდება.

ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა, სათანადო უწყებებმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი ვაჭრობა-ნაგებობათა კაპიტალურ რემონტსა და ინვენტარის და ძოწყობილობის შეძენაზე 195.6 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

საგრძნობლად იზრდება რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების კურორტებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა კერების კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის ხარჯები.

კვლავ დიდი ყურადღება მიექცევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაფინანსებას. ბიუჯეტიდან საგრძნობი თანხები იქნება გაღებული უმაღლესი სპორტული დოსტატების სკოლების შესანახავად, რაიონებსა და ქალაქებში არსებული სპორტული სკოლების დასაფინანსებლად. ამ მიზნით სათანადო თანხებია გათვალისწინებული აგრეთვე უმაღლესი, სამუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხარჯთაღრიცხვებით. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ სახსრების მიზნობრივად გამოყენებას.

სოციალური უზრუნველყოფისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარებისათვის 1975 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნებები 236.7 მილიონი მანეთის ოდენობით, ე. ი. წლევანდელ წელთან შედარებით თითქმის 23 მილიონი მანეთით მეტი. შრომის პენსიონერებისათვის პენსიებისა და დახმარებების მისაცემად სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან 191 მილიონი მანეთი დაიხარჯება. გარდა ამისა, კოლმეურნეთა საპენსიო უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდიდან პენსიები და დახმარებები 93 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

სხვადასხვა კატეგორიის პენსიონერებისათვის პენსიების ოდენობის გადიდების შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად დიდი თანხები იქნება გაცემული. მარტო ამ დანიშნულებით 1975 წელს 19,2 მილიონი მანეთი გაიცემა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილი დიდძალი სახსრების მიზნობრივად, მომჭირნეობით და დროულად ათვისებას.

წლეულს 9 თვეში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა მიხედვით აუთვისებელი დარჩა 44.4 მილიონი მანეთი, აქედან ახალ მშენებლობაზე — 16 მილიონ მანეთზე მეტი. ამის შედეგად ჩვენს ხალხს დაკლდა ახალი სკოლა-ინტერნატები, საბავშვო ბაღები და ბაგები. საყვადმეყოფები. ასეთი მდგომარეობა ყოველად შეუწყნარებელია.

* * *

დეპუტატებისათვის ცნობილია, რომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად თანმიმდევრულად ხორციელდება მართვის ორგანიზაციის ყოველმხრივი გაუმჯობესების კურსი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის.

1975 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მმართველობის აპარატის სრულყოფისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებით მიღებული ეკონომია 5.4 მილიონი მანეთის ოდენობით.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან განუხრელად განახორციელონ ეს ღონისძიებები.

ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ადგილობრივი ბიუჯეტები

ამხანაგო დეპუტატებო! ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობა წლითიწლობით იზრდება და ნათლად ასახავს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებსა და შემდგომ ამოცანებს. პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები რესპუბლიკის ცალკეული რაიონების ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ.

ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობა 1975 წლისათვის 572.6 მილიონ მანეთს, ანუ მიმდინარე წელთან შედარებით — 17.7 მილიონი მანეთით მეტს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტების საერთო თანხიდან სახალხო მეურნეობის განვითარებაზე და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 554.8 მილიონი მანეთი, ანუ ამ ბიუჯეტების საერთო მოცულობის 96.9 პროცენტი, დაახარჯება. აქედან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს — 436.3 მილიონი მანეთი მოხმარდება.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა წლის დასაწყისიდანვე ქმედითი ღონისძიებები უნდა დასახონ და განახორციელონ საბიუჯეტო ასიგნებათა მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებისათვის, მეტი ყურადღება დაუთმონ სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების შესრულებას.

ეკონომიური და საკონტროლო მუშაობა

ამხანაგო დეპუტატებო!

სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია ეკონომიური, საფინანსო და საკონტროლო მუშაობის გაძლიერება.

ამგვარად რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში ეკონომიურ და საკონტროლო მუშაობას მეტი ყურადღება ექცევა, მაგრამ მისი ხარისხი, სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების ნაკლებობის გამო, ჯერ მაინც ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე აღინიშნა, უნდა გავაძლიეროთ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, მათი სამმართველოებისა და განყოფილებების, აგრეთვე ცენტრალური ბუღალტერიებისა და სხვათა როლი კონტროლისა და შემოწმების საქმეში.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საკითხების კომპლექსურ შესწავლას და შემოწმების შედეგების მმრომელთა კოლეგიებებში საჯაროდ განხილვას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შარშან ოქტომბერში მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, ხოლო წლეულს ივნისში — დადგენილება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საჭიროა სამინისტროებმა და უწყებებმა კონკრეტული ღონისძიებები განახორციელონ და უმჯობესი კონტროლი დააწესონ ამ საქართველოს მნიშვნელობის დადგენილებათა განუხრელად შესრულებისათვის.

მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის სწორი ამაღლების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ხარისხისათვის ბრძოლა. ამის შესახებ საზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე. ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმების ღრმად შესწავლას და სწორად შეფასებას მრავალი საწარმოო-ეკონომიური ფაქტორის ძირფესვიანი გაანალიზება სჭირდება, რომელიც მორალური ფაქტორების ფართო წრესაც მოიცავს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმმა მოითხოვა წარმოების მკვეთრი ორგანიზებულობა, შრომითი პროცესების ზუსტი რიგმი, ტექნოლოგიის განუხრელი დაცვა, მასალების მომჭირნეობით ხარჯვაზე მკაცრი რეჟიმის დაწესება, წარმოების იარაღებისა და ტექნოლოგიური დანადგარებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება, შრომით კოლექტივებში დისციპლინის, ურთიერთ მომთხოვნელობისა და ურთიერთ დახმარების ვითარების შექმნისა და განმტკიცების აუცილებლობა.

ჩვენ (მხედველობაში მაქვს ფინანსთა სამინისტრო და საფინანსო ორგანოები ადგილებზე) განსაზღვალული ვართ იმ შემართებით, რომ უმოკლეს ვადაში დრმა ანალიზი გაკეთდეთ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ხუთწლედის განვლილ პერიოდში და ჩვენს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების პროექტი ცალკეული დარგების მიხედვით წარვუდგინოთ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებს.

თვალსაჩინო აგიტაციის გამოფენა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ცენტრალურ პავილიონში გაიხსნა თვალსაჩინო აგიტაციის ნიმუშების რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც მოაწყეს საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს მხატვართა კავშირმა.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამოსაყენებელი თვალსაჩინო აგიტაციის ნიმუშები, სტენდები, პლაკატები, დიაგრამები, პანოები, ფოტოსურათები, რომლებიც ეძღვნება რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, წარმოების ნოვატორთა მიღწევებს, შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდას, ბრძოლას კომუნისტური მორალის პრინციპების განმტკიცებისათვის.

გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასალებსა და სტენდებს, რომლებიც ასახავენ საწარმოთა და დაწესებულებათა ყოველდღიურ საქმიანობას და მოუწოდებენ გააძლიერონ ბრძოლა წუნისმკეთებლების, გამცდენების, მუქთახორების, ლოთების, ზარმაცების, ფრენების, ცილისმწამებლების წინააღმდეგ.

აქვე დემონსტრირებულია რესპუბლიკის გამომცემლობების მიერ გამოშვებული ლამაზად გაფორმებული პლაკატები, ილუსტრირებული ალბომები, ბროშურები და ბუკლეტები.

გამოფენაზე წარმოდგენილია თვალსაჩინო აგიტაციის ნიმუშები, რომელიც გამოყენებულია თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ბათუმის, მახარაძის, ონისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საწარმოებსა და ორგანიზაციებში მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

გამოფენა 1975 წლის 10 იანვრამდე გახანგრძლივდა.

(საქინფორმი).

* * *

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში.

მ. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ მალიქი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 25 დეკემბერს კრემლში მიიღო ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ მალიქი.

საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ურთიერთობის გაუმჯობესება და შემდგომი განვითარება შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხების ინტერესებს, აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს, იმ პოზიტიურ ცვლილებათა საერთო სულისკვეთებას, რომლებიც ამჟამად ხდება საერთაშორისო ვითარებაში.

ა. მალიქმა ნ. ვ. პოდგორნის გადასცა ინდონეზიის პრეზიდენტის სუპარტოს წერილი.

საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის ელჩი ინდონეზიაში პ. ხ. კუზნეცოვი და ინდონეზიის ელჩი სსრ კავშირში ხ. დარუსმანი. (საკდესი).

ბაღვრის ორბიტელი „სალუტ-4“

კოსმოსური სივრცის კვლევის შესაბამისად 1974 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტ-4“.

„სალუტ-4“ სადგურის გაშვების მიზანია დახვეწონ ორბიტული სადგურიან კონსტრუქცია, საბორტო სისტემები და აპარატურა და მოაწყონ მეცნიერულ-ტექნიკური კვლევა და ექსპერიმენტები კოსმოსური ფრენის დროს.

ფრენას თვალს ადევნებენ, ტელემეტრიულ ინფორმაციას აღებენ და სადგურს მართავენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიასა და ატლანტის ოკეანის აკვატორიაში მყოფი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გემ „აკადემიკოს სერგე კოროლიოვზე“ განლაგებული საზომი პუნქტები. ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის საბორტო სისტემები, აგრეგატები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობენ. (საკდესი).

მსატვრის ორასი ნიმული

გიგლა ფირცხალავას ნაწარმოებთა გამოფენა მოსკოვში

□

25 დეკემბერს ლიტერატურთა ცენტრალურ სახლში გაიხსნა საქართველოს დამსახურებული მხატვრის გიგლა ფირცხალავას ნაწარმოებთა გამოფენა. ავტორმა მოსკოვში თავისი ორასი საუკეთესო ნამუშევარი ჩამოტანა.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი სატრიული ნახატები, მეგობრული შარჟები ცნობილ მწერლებსა და მსატვრებზე, მსახიობებსა და კომპოზიტორებზე, კარიკატურა მოწმობენ, რომ მხატვრის შემოქმედებას ახასიათებს გულწრფელი იუმორი, მახვილი თვალი, სიმწვავე.

ვერნისაჟზე გამოსულმა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ბ. ეფიმოვმა აღნიშნა, რომ გ. ფირცხალავას ნიჭი ისეთივე ბრწყინვალე და მხიარულია, როგორც საქართველოს ბუნება და მისი ხალხი. ეს არის განსაკუთრებული შემოქმედებითი დიალოგი ერ. ეფიმოვსა და ფირცხალავას შორის. (საკდესი).

ეროვნული ფერწერა

ეროვნული ფერწერა

ეროვნული ფერწერა

ეროვნული ფერწერა

##